სსიპ ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის დირექტორის

ბრძანება № 05-01/41

ქ. თბილისი

16 სექტემბერი 2011 წ.

სასკოლო სახელმძღვანელოსთვის - "საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" - გრიფის მინიჭების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – "ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 17 აპრილის N 357 ბრძანების მე-3 მუხლის ზ) პუნქტის, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 25 თებერვლის №30/ნ ბრძანების მე-9 მუხლის 5[1] პრიმა პუნქტის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის მიერ სასკოლო სახელმძღვანელოს - საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება - შექმნის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნერების მინისტრის 2011 წლის 1 სექტემბრის №577 ბრძანების და "სახელმძღვანელოსთვის/სერიისთვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებელი კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 12 აპრილის №222 ბრძანებით შექმნილი სახელმძღვანელოს/სერიისთვის გრიფის მინიჭების შესახებ შემთანხმებელი კომისიის 2011 წლის 16 სექტემბრის ოქმის (№2) სამართლებრივ საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიენიჭოს გრიფი სახელმღვანელოს: "საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება" (საავტორო უფლების მფლობელი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი – "ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი").
2. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი (მ. ბერაია) წინამდებარე ბრძანების შინაარსის ცენტრის ვებ–გვერდზე www.ncac.ge განთავსება.
3. დაევალოს ადმინისტრაციული უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმისწარმოების სპეციალისტს (მ. ქადაგიშვილს) წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა.
4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
5. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დ ი რ ე ქ ტ ო რ ი ნათია ჯობაძე